ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ „13“ ივნისი № 874 დადგენილებით, და დამტკიცებულია სენატის მიერ „22“ ივნისი 2013, № 3 გადაწყვეტილებით

თბილისი - 2013

დებულება

1.1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში: „სტუ“) თვითდაფინანსებაზე მყოფი საუნივერსიტეტო „ეკონომიკური განვითარებისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“ (შემდგომში: ცენტრი) შექმნილია და დამტკიცებულია საქართველოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის № ——— დადგენილების და სენატის 2013 წლის ოქმი № ——— გადაწყვეტილების საფუძველზე;

1.2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, წინამდებარე დებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.3. ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით, იგი შუამდგომლობს სტუ-ს წინაშე შეკვეთებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, მისი დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად;

1.4. საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი შუამდგომლობს სტუ-ს წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნის სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

1.5. რექტორის, შესაბამისი დარგის რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს ან სენატის მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ცენტრის ანგარიშის რიგგარეშე განხილვა;

2. ცენტრის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

2.1. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტის ეკონომიკურ-საინჟინრო, სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალის ამაღლება ეკონმიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით;

2.2. სტუდენტების ჩართვა ბიზნეს-ინჟინერინგის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების კვლევისა და პრაქტიკაში დანერგად;

2.3. ეკონომიკური სწავლების პროცესების ინტეგრაცია სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობასთან;

2.4. სამეცნიერო-შემოქმედებითი ჯგუფების შექმნა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკული საქმიანობაში დანერგვის მიზნით;

2.5. საინვესტიციო (გარემოს, კლიმატის) პოლიტიკის შექმნისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

2.6. ლოგისტიკური კვლევების ჩატარება;

2.7. საინჟინრო-ეკონომიკური და სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება;

2.8. სტუ-ს მეცნიერების ინოვაციური მოღვაწეობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

2.9. უძრავი ქონების ეკონომიკური შეფასება;

2.10. სხვადასხვა მიმართულებით საინჟინრო-ეკონომიკური კონსალტინგისა და ტრეინინგების მოწყობა და მასში სტუდენტების ჩართვა;

2.11. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კვლევა და დაინტერესებულ ორგანიზაციებისათვის მათი შედეგების მიწოდება;

2.12. სექტორული ეკონომიკის სისტემის შემუშავების ხელშეწყობა;

2.13. ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების ორგანიზება-ჩატარების ხელშეწყობა და მონაწილეობის მიღება;

2.14. სტუდენტთა სამეცნიერო სამუშაოების ყოველწლიური კრებულის ელექტრონული ვერსიის მომზადება მისი შემდგომი სტუ-ს სამეცნიერო შრომათა კრებულში და სხვა სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნების მიზნით;

2.15. საინჟინრო ეკონომიკური, სამართლის, და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაკალვრთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა აქტიური ჩართვა სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და საინჟინრო საქმიანობაში;

2.16. საერთაშორისო კავშირების დამყარება და მემორანდუმების გაფორმება შესაბამისი საქმიანობის ცენტრებთან.

2.17. მონაწილეობის მიღება უზრუნველყოფა საინჟინრო-ეკონომიკურ სამუშაოებზე გამოცხადებულ საგრანტო და სატენდერო კონკურსებში;

2.18. საინჟინრო-ეკონომიკური ლიტერატურის, სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა.

3. ცენტრის შემადგენლობა და მართვა

3.1. ცენტრის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებული სექტორები, ასევე დროებითი მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებითი ჯგუფები;

3.2. ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი. ცენტრის უფროსი ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ. ცენტრის უფროსის თანამდებობა არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობას;

3.3. ცენტრის უფროსი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი ცენტრის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;

ბ) მოაწყოს ცენტრის სამეცნიერო შრომების, განხორციელებული (მიმდინარე) პროექტების, გამოშვებული (შედგენილი) სახელმძღვანელოების, ახალი სამუშაოების და ა.შ. პრეზენტაციები;

გ) განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა;

დ) მოამზადოს ხელშეკრულებების პროექტები და გასაფორმებლად წარუდგინოს სტუ-ს რექტორს.

3.4. ცენტრის უფროსს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოების და საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობის, მიმართულებების, შესრულების ვადების, შინაარსის და ხასიათის განსაზღვრაზე, აგრეთვე ცენტრებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე, შენახვაზე, გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე;

3.5. ცენტრის პერსონალი შედგება სამეცნიერო, სასწავლო და დამხმარე პერსონალისაგან;

3.6. ცენტრის პერსონალი ინიშნება და სამუშაოდან თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე;

3.7. ცენტრის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება ცენტრის შემოსავლების მიხედვით;

3.8. იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში მიღებული წესის და ფორმების შესაბამისად;

3.9. ცენტრის ხელმძღვანელი ყოველი საფინანსო წლის ბოლოს აბარებს ანგარიშს სტუ-ს ანგარიშგება-აღრიცხვის დეპარტამენტს, აკადემიურ საბჭოსა და სენატს.

4. ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

4.1. ცენტრი განთავსებულია თბილისში, ჯოსტავას ქ. №77-ში, სტუ-ს VI კორპუსში;

4.2. ცენტრი საქმიანობას წარმართავს თვითდაფინანსების პრინციპით. ამავე დროს ის არის საფინანსო-საგადასახადო სისტემის განცალკევებული სუბიექტი და წარმოადგენს სტუ-ს საფინანსო სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

ცენტრის სტუ-სთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკას (წესს) განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სენატი, რომლის საფუძველზეც საგეგმო-საფინანსო განყოფილება ეწვევა ფინანსურ მენეჯმენტს.

4.3. სამუშაოების წარმოების საფუძველს წარმოადგენს ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე შემკვეთსა (შემსრულებელსა) და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება;

4.4. გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე;

4.5. ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები, ხელშეკრულებები, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და მისთი რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით.

5. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

5.1. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.

6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

6.1. დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს ცენტრის უფროსი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სენატი.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებისთანავე.